



კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA), შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს გრიგოლ კიკნაძისა და გივი გაჩეჩილაძის სახელობის სამეცნიერო პრემიების მოსაპოვებლად. პრემიები, ორ წელიწადში ერთხელ, ენიჭება საქართველოს უნივერსიტეტებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს თვალსაჩინო ნაშრომისათვის ლიტერატურისმცოდნეობის სფეროში და ამავე დარგში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო თარგმანისათვის.

„გრიგოლ კიკნაძის სახელობის პრემია“ გაიცემა ორ ნომინაციაში:

ა) სამეცნიერო მონოგრაფია;

ბ) სამეცნიერო სტატია;

„გივი გაჩეჩილაძის სახელობის პრემია“ გაიცემა ორ ნომინაციაში:

ა) სამეცნიერო თარგმანი (ქართულიდან უცხო ენაზე)

ბ) სამეცნიერო თარგმანი (უცხო ენიდან ქართულ ენაზე)

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას ბოლო 2 წელიწადში (2015-2016 წ.წ.) გამოცემული შრომები.

პრემიის მოსაპოვებლად ნაშრომის წარმოდგენა შეუძლია:

ა) ავტორს;

ბ) გამომცემლობას;

გ) ორგანიზაციას.

პრემიების მადიებელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი (სამცალად);

ბ) ავტორის (ან ავტორთა) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV)

საკონკურსოდ შემოსულ ნაშრომებს აფასებს ანონიმური კომისია, რომელიც დარგის ექსპერტებისგან (სულ – ხუთი წევრი) შედგება.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, მხარდაჭერის ნიშნად, საპრემიო კომიტეტს გამოუყო სივრცე. ამიტომაც პრემიაზე წარსადგენი ნაშრომების დატოვება მსურველებს სწორედ ინსტიტუტის შენობაში შეეძლება. მასალები მიიღება 2017 წლის 23 იანვრიდან 24 მარტის ჩათვლით, მისამართზე: კოსტავას ქ. 5, მე-2 სართული (მედია მუსხელიშვილთან)

პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება ივნისში. გამარჯვებულებს გადაეცემათ შესაბამისი პრემიები და ფულადი ჯილდო.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის პრემიის დებულება (<http://geclaorg.ge/premia.pdf>)

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით ელექტრონული ფოსტის მისამართზე: geclaorg@gmail.com